პ რ ო ე ქ ტ ი

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №**

2024 წლის -- ოქტომბერი

ქ. წყალტუბო

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მოწვეული სპეციალისტი ს. ჯოლოხავა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

კომისიის თავმჯდომარე შ.კილაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY


წყალტუბო

წერილის ნომერი: **48-482429184**
თარიღი: **17/10/2024**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

---

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ

2024 წლის პირველ მეორე კვარტალში გაწეული სამუშაოს ანგარიში

ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი საზრუნავი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვაა. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 1-ლ მე-2 კვარტალში დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებს, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დახმარება გაეწია მრავალშვილიან **21** ოჯახს, აქედან მეოთხე შვილის შეძენის გამო **3** ოჯახს **700** ლარი, , მე-3 შვილის შეძენის გამო **15** ოჯახს--**500** ლარი მეხუთე და შვილის შეძენისთვის **1000ლარი.** სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულმა **95** ოჯახმა, რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის სამი და მეტი შვილი ერთჯერადად მიიღო თითოეულმა **300** ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია იძულებით გადაადგილებულ **10** ოჯახს, რომელთაც გარდაეცვალათ ოჯახის წევრი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სარიტუალო ხარჯების თანადაფინანსებისათვის გამოყოფილი იქნა- **300** ლარი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უჭირისუფლო მოქალაქეს დაკრძალვის ხარჯისთვის გამოეყო **400 ლარი**

ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონპენსაცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღებ **430**პირს (თითოეულს **350** ლარის ოდენობით, სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ **32** ომის მონაწილეს- **350** ლარის ოდენობით, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე **25**პირს გაეწია დახმარება **350** ლარის ოდენობით, ცერებრალური დამბლით დაავადებულ **98** პირს (თითოეულს **500** ლარი), მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **85** პირს, რომლებსაც სტატუსი მიენიჭათ თვალის დაავადების დიაგნოზით გაეწია ფულადი დახმარება (თითოეულს - **400** ლარი), თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ **47** პირს გაეწია დახმარება (თითოეულს -**2000** ლარი), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე **93** ბავშვს (თითოეულს 400 ლარი), მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე 64 პირს გაეწია დახმარება (თითოეულს **300** ლარის ოდენობით), ფსორიოზით დაავადებულ **100** პირს გაეწია დახმარება **400** ლარის ოდენობით. პარკინსონით დაავადებულ **92** პირს გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება (თითოეულს **400** ლარის ოდენობით), ონკოლოგიურად დაავადებულ6 ბავშვს-**2000** ლარი თითოეულს. ფენიკეტონურიით **დაავადებულ 11** ბავშვს -**2000** ლარი **18** წლამდე თითოეულს. მძიმე და საშიში დაავადების მქონე **432** ბენეფიციარს გაეწია დახმარება მედიკამენტების შესაძენად. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად განსაკუთრებული საჭიროების მქონე 7 სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის თითოეულისთვის გამოყოფილი იქნა საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ინვენტარის შესაძენად **2000-2000** ლარი. აგვისტოს ომში დაღუპულ 4 მონაწილის ოჯახს გაეწია ერჯერადი დახმარება **1800** ლარის ოდენობით. ას წელს გადაცილებულ ერთ მოქალაქეს დამარების სახით გამოეყო **1000** ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში თავშესაფრის გარეშე დარჩენილია **68** მოქალაქე, მათ ბინის ქირის ასანაზღაურებელად თვეში ერთხელ გამოეყოთ **- 300** ლარი. აღნიშნული მუხლი გათვალისწინებულია იმ უსახლკარო პირებზე რომელთა საცხოვრებელი სახლები დაინგრა,დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოებების გამო. სტიქიის შედეგად დაზარალებულმა **63** ოჯახმა მიიღო ერთჯერადი ფულადი დახმარება .ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირით უზრუნველყოფილი იქნა **5** მოქალაქე თვეში **300** ლარით. დედ-მამით ობოლ **2** ბავშვს გაეწია ფულადი დახმარება კვარტალში **400** ლარის ოდენობით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ი უსახლკარო/ მძიმე საცხოვრებელ პირობებში მაყოფი 6 ოჯახისთვის განხორციელდა ინდივიდუალური სახლების მშენებლობა. სადღესასწაულოდ (აღდგომა) ფინანსური დახმარება გაეწია ა(ა)იპ,,სათნოების სახლის '' 219 ბენეფიციარს თითოეულს 100 ლარის ოდენობით.


საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge

დღესასწაულოდ (აღდგომა) კვების პროდუქტებით დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ ოჯახებს , რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიანი ბაზის მიხედვით 0-დან 30001-ის ჩათვლითაა 100 წელს გადაცილებულ დიდი სამამულო ომის მონაწილე და ა(ა )იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ინკლუზიური ცენტრის ბენეფიციარი18 წლამდე ბავშვებს,ასევე შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს. სულ დახმარება გაეწია 350 ბენეფიციარს.

**მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 475** მოქალაქეზე გაიცა საგარანტიო წერილი( თანადაფინანსება გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციების, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციების, სხვა სამედიცინო მომსახურების (გარდა თერაპიულისა) ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევების, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით ან არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი წილის 50%-ით, არაუმეტეს **1000 ლარისა.**

აუტიზმის სპქტრის **65** ბავშვს გაეწია სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge